აბო თბილელის ქ. №3 / ლადო გუდიაშვილის მოედანი №8

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

2019

საკვლევი ტერიტორია მოიცავს მოზრდილ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ისტორიულად ორი შენობა იდგა. აქედან ერთი მთავარი ფასადით ლ. გუდიაშვილის მოედანზე გადიოდა, ხოლო მეორე აბო თბილელის ქუჩაზე. გუდიაშვლის მოედნისკენ მიმართული სახლი წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს. XIX საუკუნის შუა ხანებში აგებული შენობა 1897 წლის თბილისის პლანშეტის მიხედვით პრასკოვია ეგოროვას ეკუთვნოდა[1]. ეს იყო ე. წ. ქართული აგურით ნაგები ორსართულიანი სახლი. მისი შელესილი საფასადო კედელი ვარდისფრად იყო დაფერილი. ფასადზე მთავარ დეკორატიულ აქცენტს მეორე სართულის მთელი პერიმეტრის მომცველი დახურული აივანი ქმნიდა, რომელიც დორიული ტიპის სვეტებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღებით იხსნებოდა. აივნის ნაწილი (მარცხენა მონაკვეთი) შემინული იყო, ხოლო მისი თაღების ნახევარწრიული დაბოლოებები მართკუთხედით შეცვლილი. აივნის მოაჯირი ყრუდ იყო შეფიცრული.





ფასადი ლ. გუდიაშვილის მოედნიდან. 2008 წელი

პირველი სართულის მონაკვეთს ანაწევრებდა მშვილდთაღოვანი, პროფილირებული საპირით შემოსაზღვრული ფანჯრის ღიობები, რომლებიც

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №192, აღწერა №8ა, პლანშეტი №697

თეთრი ფერით იყო აღნიშნული. ღიობების ზედა ნაწილებს ნალესობაში გამოყვანილი გადაბმული თავსართები, ხოლო ძირებს კედლის დონიდან ჩაწეული მარტივი მართკუთხედები ამკობდა.

სახლის შიდა ეზოში მოხვედრა შესაძლებელი იყო აბო თბილელის ქუჩიდან. შენობის შიდა ეზოში გამავალ კედელზე ერთსართულიანი აივანი იყო მიშენებული (ის სახლის თანადროული უნდა ყოფილიყო). სახლის დანგრევამდე აივნის ნაწილი შუშაბანდს წარმოადგენდა, ნაწილზე კი ლოჯია იყო მიშენებული, ამდენად სახლის ეზოს მხარეს მიმართულ ფასადს ავთენტურობა ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდა.



ფასადი ეზოს მხრიდან. 2008 წელი

აღნიშნულ მისამართზე მდებარე მეორე ნაგებობაც ორსართულიანი იყო და მთავარი ფასადით აბო თბილელის ქუჩაზე გადიოდა. შელესილ და დაფერვის გარეშე დატოვებულ საფასადე სიბრტყეს რამდენიმე პლასტიკურად ნაძერწი დეტალი, ლითონის აჟურული აივანი და მხატვრულად დამუშავებული სადარბაზო კარი ამკობდა. მიუხედავად ამისა ფასადი მაინც უსახური იყო, მოკლებული ერთიან მხატვრულ სახეს.

შენობის შიდა ეზოში ფასადის შუა ღერძზე განთავსებული ლითონის ჭიშკრიდან ვხვდებოდით. სახლი ეზოს სამი მხრიდან შემოსაზღვრავდა და ჭვირული დეკორატიული ელემენტებით შემკული აივნებით იხსნებოდა მის სივრცეში. აივნების სისტემა მხოლოდ შენობის მეორე სართულს ჰქონდა შემორჩენილი. პირველი სართულის ერთ მონაკვეთზე კედელი იყო ამოყვანილი, ნაწილი შემინული კი შემინული იყო.



დაზიანებები ფასადზე. 2008 წელი

აღნიშნული შენობებიდან ავთენტურობა და მხატვრული ღირებულება შენარჩუნებული ჰქონდა სახლის ლ. გუდიაშვილის მოედანზე მიმართულ ფასადს და აბო თბილელის ქუჩაზე გამავალი სახლის შიდა ეზოს (ნაწილობრივ). შენობების დანარჩენმა მონაკვეთებმა ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოაღწია.

2016 წელს შენობების მძიმე ავარიული მდგომარეობის გამო ისინი დაანგრიეს. მათი არქიტექტურულად ღირებული და ავთენტური ნაწილები შეინახეს შემდგომში გამოყენების მიზნით.

რეკომენდაციები:

- იმის გათვალისწინებით, რომ ხელმეორე გამოყენების მზინით შენახულია სახლის მხატვრულად ღირებული დეტალები, ამ

კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია ახალი შენობა იმეორებდეს ძველის გეგმარებით სტრუქტურასა და არქიტექტურულ სახეს;

- შენობის ფასადზე უნდა დამაგრდეს აბრა მისი მშენებლობის წლის მითითებით.

არქიტექტურის ისტორიკოსი:

ნათია ნაცვლიშვილი



12 აპირილი, 2019